

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს Spanish Retail Georgia

2021 წლის 31 მარტი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
მმართველობის ანგარიშგება	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T: + 995 322 604 406

შპს “Spanish Retail Georgia”- ს მფლობელებს

მოსაზრება

ჩვენ ჩაატარეთ 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული შპს “Spanish Retail Georgia”- ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე.

მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე ჩვენ არ გავაჩინა საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებს აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება,

განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი



29 დეკემბერი 2021



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	11,565	12,799
აქტივის გამოყენების უფლება	5	7,513	28,304
		19,078	41,103
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	7,084	10,192
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	9,565	6,587
ფული საბანკო ანგარიშებზე		4,040	461
		20,689	17,240
სულ აქტივები		39,767	58,343
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
კაპიტალში კონტრიბუცია		(13,428)	(12,422)
გაუნაწილებელი მოგება		34,274	34,329
		20,846	21,907
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	3,862	25,089
		3,862	25,089
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	11,212	7,515
საიჯარო ვალდებულებები	9	3,651	3,832
ანარიცხი	11	196	-
		15,059	11,347
		39,767	58,343

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 28 დეკემბერს:

რევაზ მაღალაშვილი

ფიქრია გვიშიანი

საცალო გაყიდვების დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

ანდართული შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	11,565	12,799
აქტივის გამოყენების უფლება	5	7,513	28,304
		19,078	41,103
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	7,084	10,192
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	9,565	6,587
ფული საბანკო ანგარიშებზე		4,040	461
		20,689	17,240
სულ აქტივები		39,767	58,343
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
კაპიტალში კონტრიბუცია		(13,428)	(12,422)
გაუნაწილებელი მოგება		34,274	34,329
		20,846	21,907
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	3,862	25,089
		3,862	25,089
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	11,212	7,515
საიჯარო ვალდებულებები	9	3,651	3,832
ანარიცხი	11	196	-
		15,059	11,347
		39,767	58,343

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 28 დეკემბერს:

რევაზ მაღალაშვილი

ფიქრია გვიშანი

საცალო გაყიდვების დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

ანდართული შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2021 წლის 31 მარტს დასრულებული წელი	2020 წლის 31 მარტს დასრულებული წელი
		წელი	წელი
შემოსავალი	12	41,498	59,425
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(27,193)	(38,784)
საერთო მოგება		14,305	20,641
სხვა შემოსავალი	14	1,921	3,683
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(11,292)	(12,589)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(4,532)	(4,438)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		402	7,297
ფინანსური შემოსავალი	17	60	44
ფინანსური ხარჯები	17	(829)	(2,398)
მოგება/(ზარალი)კურსთაშორის სხვაობიდან	18	312	(93)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(55)	4,850
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		(55)	4,850
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული (ზარალი)/ შემოსავალი		(55)	4,850

თანდართული შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული მოგება	სულ
2019 წლის 1 აპრილი	(8,786)	29,479	20,693
წლის მოგება	-	4,850	4,850
წლის სრული შემოსავალი	-	4,850	4,850
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება (შენიშვნა 8.2)	(3,636)	-	(3,636)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	(3,636)	-	(3,636)
2020 წლის 31 მარტი	(12,422)	34,329	21,907
წლის ზარალი	-	(55)	(55)
წლის სრული ზარალი	-	(55)	(55)
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება (შენიშვნა 8.2)	(1,006)	-	(1,006)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	(1,006)	-	(1,006)
2021 წლის 31 მარტი	(13,428)	34,274	20,846

თანდართული შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

		2021 წლის 31 მარტს დასრულებული წელი	2020 წლის 31 მარტს დასრულებული წელი
	შენიშვნა	(55)	
წლის (ზარალი)/მოგება		(55)	4,850
კორექტირებები:			
ცვეთა	15	4,773	4,492
ფინანსური შემოსავალი	17	(60)	(44)
ფინანსური ხარჯი	17	829	2,398
მარაგების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	16	2,032	636
(მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	18	(312)	93
შემოსავალი კოვიდ-19-თან დაკავშირებული			
იჯარის ფასდათმობიდან	14	(1,921)	-
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში			
ცვლილებამდე		5,286	12,425
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		(2,971)	(542)
მარაგების ცვლილება		1,076	(2,724)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		3,483	2,012
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო			
საქმიანობიდან		6,874	11,171
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,392)	(5,634)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული			
შემოსავლები		-	1
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		60	44
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული			
საინვესტიციო საქმიანობაში		(1,332)	(5,589)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	24	(1,262)	(3,327)
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება		(1,006)	(3,636)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული			
საფინანსო საქმიანობაში		(2,268)	(6,963)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულის საბანკო			
ანგარიშებზე		3,274	(1,381)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე		305	(85)
ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის			
დასაწყისში		461	1,927
ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		4,040	461

თანდართული შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს “Spanish Retail Georgia” არსებობს 2011 წლის აპრილიდან. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს “Retail Group Georgia LLC”, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ცნობილი ბრენდების ტანსაცმლითა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა თბილისის სავაჭრო ცენტრებსა და მოლებში.

კომპანიის მიერ დასაქმებულთა საშუალო რიცხვი 2021 წლის 31 მარტისთვის შეადგენს 202-ს. (2020 წლის 31 მარტისთვის: 210).

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ძველი თბილისის რაიონი, თელავის ქ. #20, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელი	წილი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Advanced Retail International Co., 1010282959 /საუდის არაბეთის სამეფო/	80%
International Fashion Trading Limited, A010/04/11/3277 /არაბთა გაერთიანებული საემიროები/	20%

2021 წლისა და 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან:

საბოლოო მარკონტრელები მხარე	%
ფავაზ აბდულაზიზი (Fawaz Abdulaziz)	31
სალმან აბდულაზიზი (Salman Abdulaziz)	31
აბდულ მაჯედ (Abdul Majeed)	31
სხვა	7

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და საშვებულებო ანაზღაურებებს.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა, შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია. სამომავლო ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინისგან.

აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს შესაძლო სამომავლო გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. (იხილეთ შენიშვნა 19.3).

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული). ათას ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგავლებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია 19.1 შენიშვნაში. ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს/პერიოდში, როდესაც იცვლება გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 აპრილს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან.

ახალ სტანდარტებსა და შესწორებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2020 წელს, არ მოუხდენია არსებითი გავლენა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა კოვიდ-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შედავათებისა (ფასს 16-ში შესწორებები) (იხილეთ შენიშვნა 14).

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები;
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის შესწორება);
- არსებითობის განმარტება (ბასს 1-ის და ბასს 8-ის შესწორებები)
- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა (ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები)
- კოვიდ-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შედავათები (ფასს 16-ის შესწორება)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ნაადრევად გამოყენებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მოუღია.

მენეჯმენტი არ მოელის რომ ამ სტანდარტების მიღებას ექნება არსებითი გავლენა მომავალი წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 მარტს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.4118 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 4.0044 ლარს (2020 წლის 31 მარტი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2845 ლარი და ერთი ევრო 3.6363 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქმითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული იქარით აღებული ქონების კეთილმოწყობასთან კაპიტალიზირდება ცალკე აქტივად და იცვითება აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, როცა აქტივი მზად არის გამოყენებისთვის. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად არის განაწილებული:

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5-14 წელი
ავეჯი	- 8-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	- 8-10 წელი

3.3 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ

საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შეზღუდვა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარით აღებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები მაღაზიების მოსაწყობად. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, გაფორმებულია 5-დან 14 წლამდე ვადით და ზოგიერთ მათგანს აქვს ვადის გაგრძელების პირობა. კომპანია არ აფორმებს გაყიდვებისა და უკუიჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარა შეთანხმებულია ინდივიდუალურად და აქვს განსხვავებული პირობები.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივების გამოყენების უფლებისთვის, იყენებს ცეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმომოხილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება პერიოდულად, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღირიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების

აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია იყენებს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, იჯარის გადახდის დათმობები არ განიხილება როგორც იჯარის მოდიფიკაცია და მიღებული შეღავათები აღიარებულია უშუალოდ მოგებაში ან ზარალში (იხ. პენიშნა 14).

3.5 მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია), გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ღირებულებით ფასს 15-ის მიხედვით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულება, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება, ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების FVOCI ან FVTPL. კატეგორია.

კლასიფიკაცია განისაზღვრება შემდეგი ორი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია პენიშნაში 20.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიის მიეკუთვნება, ისევე როგორც ბონდები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“, ეს ანაცვლევს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“, ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმწიფოებო აქტივებს, რემლბიგ აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გააქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვის დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმწიფოებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 20.2 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 საბანკო ანგარიშები

ფული ფანკში მოიცავს ფულის ნაშთებს, რომლებიც განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

ყველა ტრანზაქცია მშობელი კომპანიის მფლობელებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

3.9 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხების თანხა განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირების განაკვეთი კი წარმოადგენს დაბეგვამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებები და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკები.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გამლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

3.12 შემოსავალი

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ტანსაცმლის რეალიზაციიდან საცალო მაღაზიების ქსელის მეშვეობით, ან აქციების ხელახალი გაყიდვით საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე.
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივზე კონტროლს. აქტივის კონტროლი ეხება აქტივიდან სარგებლობის და არსებითად ყველა დანარჩენი სარგებელის გამოყენების შესაძლებლობას.

საქონლის გაყიდვა

შემოსავალი ფასდება მიღებული კომპენსაციის ან მოთხოვნის ოდენობით, კომპანიის მიერ ნებადართული ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით და აღიარდება გაყიდვის მომენტში.

შემოსავალი შემცირებულია საქონლის დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და სხვა მსგავსი ფასდათმობებით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ხდება დროის შესაბამისად, გადაუხდელი ძირი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, იგი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას და ამგვარად მიიღება აქტივის საბალანსო ღირებულება.

4 ძირითადი საშუალებები

ათას ქართულ ლარში	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება				
2019 წლის 1 აპრილი	9,856	7,558	1,319	18,733
შემოსვლა	4,957	34	643	5,634
გასვლა	-	-	(1)	(1)
2020 წლის 31 მარტი	14,813	7,592	1,961	24,366
შემოსვლა	1,172	99	110	1,381
2021 წლის 31 მარტი	15,985	7,691	2,071	25,747
დაგროვილი ცვეთა				
2019 წლის 1 აპრილი	6,276	1,686	1,271	9,233
წლის ცვეთა	1,430	732	172	2,334
2020 წლის 31 მარტი	7,706	2,418	1,443	11,567
წლის ცვეთა	1,630	783	202	2,615
2021 წლის 31 მარტი	9,336	3,201	1,645	14,182
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 მარტი	7,107	5,174	518	12,799
2021 წლის 31 მარტი	6,649	4,490	426	11,565

ცვეთის ხარჯი აღიარდება დისტრიბუციის ხარჯებში (შენიშვნა 16).

5 აქტივების გამოყენების უფლება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნები	სულ
თვითღირებულება		
2019 წლის 1 აპრილი	-	-
ფასის 16-ზე გადასვლის კორექტირება	30,462	30,462
2020 წლის 31 მარტი	30,462	30,462
ცვლილებები შეფასებებში	(22,949)	(22,949)
2021 წლის 31 მარტი	7,513	7,513
აკუმულირებული ცვეთა		
2019 წლის 1 აპრილი	-	-
წლის ცვეთა	2,158	2,158
2020 წლის 31 მარტი	2,158	2,158
წლის ცვეთა	2,158	2,158
ცვლილებები შეფასებებში	(4,316)	(4,316)
2021 წლის 31 მარტი	-	-

საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 მარტი

28,304

28,304

2021 წლის 31 მარტი

7,513

7,513

აქტივების გამოყენების ცვთის ხარჯი აღიარებულია დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯებში (შენიშვნა 16).

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეცვალა შეფასებები საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებით. რადგან კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა შეეცვალა არსებული საიჯარო ხელშეკრულებები და მთლიანად გადასულიყო ცვლად საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლის მიხედვითაც საიჯარო გადასახდელები დაკავშირებული იქნება გაყიდვების მოცულობებთან (კომპანიას უკვე აქვს რამდენიმე ასეთი იჯარა). კომპანიამ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები მეიჯარეებთან ხელშეკრულებების შვლასთან დაკავშირებით და კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კონტრაქტები სრულად შეიცვლება 2023 წლის 31 მარტამდე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება ყველა მეიჯარესთან. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების კორექტირება მოხდა ამ ცვლილების ასახვისთვის.

6 მარაგები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
გასაყიდად არსებული ტანსაცმელი და აქსესუარები	9,234	9,000
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(2,678)	(646)
საქონელი გზაში	12	1,322
შესაფუთი მასალები	450	450
მაღაზიის მოსართავი ინვენტარი	66	66
	7,084	10,192

მარაგების ანარიცხები მოიცავს ნელა რეალიზებადი მარაგების ანარიცხებს.

კომპანიის საკუთრებაში არსებული მთლიანი მარაგები გამოყენებული იქნა უზრუნველსაყოფად, გარანტიის სახით, კომერციულ ბანკთან.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,808	54
საგარანტიო დეპოზიტები იჯარებისთვის	78	-
	1,886	54
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8	-
წინასწარი გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში	7,603	6,121
წინასწარ გადახდილი იჯარა	-	190
სხვა წინასწარი გადახდები	68	222
	7,679	6,533
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,565	6,587

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას. საშუალო კრედიტის დაფარვის პერიოდი საქონლის გაყიდვისას არის 8 დღე. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ სრულიად ექვემდებარება დაბრუნებას. სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარგადახდები ძირითადად შედგება დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

შენიშვნა 21(ბ) შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ეხება საკრედიტო რისკზე მოქმედ ფაქტორებს და ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვთან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 21(ა).

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს ერთ აქციას 100 ლარის ნომინალური ღირებულებით (რაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ნულამდე, ვინაიდან ფინანსური მუხლები წარმოდგენილია ათასეულებში), რომლის 100%-ის მფლობელია Retail Group Georgia LLC.

8.2 შენატანები კაპიტალში

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს კომპანიებთან საერთო კონტროლის ქვეშ. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მაღაზიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა, ან შეიძლება განისაზღვროს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, კომპანია მაკონტროლებელი მხარისგან იღებს დამატებით ფულად სახსრებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკისა.

კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს, როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ამონაგებს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით). ხოლო ფულისა და მისი ექვივალენტების ისეთ გადახდებს, რომლებიც გულისხმობს მანამდე კაპიტალში შენატანის სახით არსებული საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, კომპანია აღრიცხავს კაპიტალის დებეტში. (კაპიტალის კონტრიბუციის შემცირებას).

9 საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
მიმდინარე	3,651	3,832
გრძელვადიანი	3,862	25,089
	<u>7,513</u>	<u>28,921</u>

კომპანიას იჯარით აღებული აქვს მაღაზიები, საწყობები და ოფისი. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახადები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), აღნიშნული საიჯარო გადასახადები არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში. კომპანია ცალკე წარმოადგენს აქტივის გამოყენების უფლებას (იხ. შენიშვნა 5).

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძე- ლების უფლებით	იჯარების რაოდენო ბა ინდექსზე მიბმული ცვლადი გადახდებით	იჯარების რაოდენო ბა ინდექსზე მიბმული ცვლადი გადახდებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენიშვნები	3	2 წელი	2	3	-	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მათთან დაკავშირებული აქტივებით. 2021 წლის 31 მარტისათვის მინიმალური მომავალი საიჯარო გადახდები შემდეგი იყო:

ათას ქართულ ლარში

	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ერთი წელიწადში		
საიჯარო გადახდები	3,980	5,794
ფინანსური ხარჯები	(329)	(1,962)
	3,651	3,832
პირველიდან მეხუთე წლის ჩათვლით		
საიჯარო გადახდები	3,980	22,020
ფინანსური ხარჯები	(118)	(6,694)
	3,862	15,326
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	-	16,031
ფინანსური ხარჯები	-	(6,268)
	-	9,763
წმინდა დღევანდელი ღირებულება	7,513	28,921

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვეანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის). ამგვარი საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ცვლადი იჯარის ხარჯი	1,558	1,032
	1,558	1,032

კომპანიის შემოსავლების მიხედვით დაანგარიშებული ცვლადი საიჯარო გადასახდელები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საიჯარო ვალდებულება. რადგან ის დამოკიდებულია აქტივის გამოყენებიდან მიღებულ შემოსავალზე.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას ქართულ ლარში	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	11,212	7,363
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	-	152
	<u>11,212</u>	<u>7,515</u>

კომპანიის ვალდებულებების სავალუტო რისკების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 21 (ა).

11 ანარიცხი

კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას ერთ-ერთ მეიჯერასთან კოვიდ-19-თან დაკავშირებულ საიჯარო გადასახდელების შედგენასთან მიმართებაში. კომპანიას არ აქვს შეთანხმებული საბოლოო საიჯარო პირობები მეიჯერასთან 2021 წლის 31 მარტს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. შესაბამისად, კომპანიამ შეაფასა მიმდინარე მოლაპარაკებები და ცვლადი საიჯარო ხარჯი აღიარა როგორც ანარიცხი ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

12 შემოსავლები

ათას ქართულ ლარში	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები	41,119	59,425
ექსპორტზე გაყიდვები	379	-
	<u>41,498</u>	<u>59,425</u>

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათას ქართულ ლარში	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ადგილობრივი ბაზარი)	26,833	38,784
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ექსპორტი)	360	-
	<u>27,193</u>	<u>38,784</u>

14 სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავალი მოიცავს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ საიჯარო ფასდათმობებს.

15 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ცვეთა	4,773	4,492
თანამშრომელთა სარგებელი	1,572	2,594
ცვლადი იჯარის ხარჯი	1,558	1,032
როიალტის ხარჯი	1,851	2,974
კომუნალური ხარჯები	552	617
შიდა სატვირთო და სადისტრიბუციო ხარჯები	328	260
საკრედიტო ბარათის საკომისიო	313	365
საიჯარო ხარჯის ანარიცხი	191	-
სარეკლამო და გაყიდვების ხელშეწყობის ხარჯები	86	207
მასალები მაღაზიის დეკორაციისთვის	21	-
სხვა	47	48
	11,292	12,589

16 ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
მოძველებული მარაგების ანარიცხის ზრდა	2,032	636
მენეჯერული მომსახურების ხარჯები	1,634	2,114
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	159	165
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	150	-
დაზღვევა	118	103
ოფისის მოვლის ხარჯები	109	129
ტრანსპორტირების ხარჯი	83	119
ბანკის საკომისიო	62	957
საკონსულტაციო ხარჯები	25	-
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	10	-
ტვირთის შიდა გადაზიდვის და დისტრიბუციის ხარჯი	10	-
სხვა ხარჯები	140	215
	4,532	4,438

17 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ხელშეკრულებებზე	(1,927)	(1,806)
უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ვალდებულებების საკურსო სხვაობებისა და საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების გავლენა	1,098	(592)
სულ ფინანსური ხარჯები	(829)	(2398)
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	60	44
სულ ფინანსური შემოსავალი	60	44
წმინდა ფინანსური ზარალი	(769)	(2,354)

18 საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	312	(93)
	312	(93)

19 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სარგებლის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულებები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება, რეპორტირების პერიოდისთვის კომპანიის გრძელვადიანი აქტივები არ იყო გაუფასურებული. ეს შეფასება ემყარება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან, კომპანიის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებასთან დაკავშირებულ დაშვებებს. თუკი რეალური შედეგები განსხვავებული იქნება ამ დაშვებებისგან, ფინანსური ანგარიშგებები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ ყველაზე საიმედო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამ მარაგების მომავალ სარეალიზაციო ღირებულებაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს გაყიდვების ბაზარზე არსებულმა მდგომარეობამ, რამაც შესაძლოა მომავალი გასაყიდი ფასების შემცირება გამოიწვიოს.

19.2 საადრიცხო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

კაპიტალში კონტრიბუცია

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მალაზიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა ან შეიძლება განისაზღვროს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, კომპანია მაკონტროლებელი მხარისგან დამატებით არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით იღებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკის მქონე ფულად სახსრებს. კომპანიის მიერ ჯერ არ განხორციელებულა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება ამ მიღებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება.

კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ბენეფიტს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით).

19.3 მნიშვნელოვანი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წელს კომპანიამ განიცადა ზარალი 55 ათასი ლარის ოდენობით. ზარალი განპირობებული იყო გაყიდვების შემცირებით, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვებით კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით.

ზოგადად სახეზეა განუსაზღვრელობები კოვიდ-19-ის გავრცელების მაშტაბებთან დაკავშირებით, მაგრამ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ახალი ვაქცინები, რომლებიც ფართოდ არის ხელმისაწვდომი ქვეყნის მაშტაბით, საბოლოოდ შეამცირებს კოვიდ-19-ის გავრცელებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკაც გონივრულად მოკლე დროში დაუბრუნდება თავის ჩვეულ მდგომარეობას. ამრიგად, წინა წლის მსგავსად გრძელვადიანი ჩაკეტვა აღარ უნდა გამოცხადდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

გარდა ამისა, მენეჯმენტმა მიიღო გარანტია ბენეფიციარი მფლობელებისგან, რომ ისინი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით გაუწევენ კომპანიას ფინანსურ მხარდაჭერას, რაც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ კომპანიამ შეასრულოს ვალდებულებები საკუთარი აქციონერების წინაშე, გააგრძელოს ბიზნესი კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ვარდნის გარეშე მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ამ ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღიდან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ნორმალურ მიმდინარეობაში.

იჯარის ვადები

საიჯარო ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია იმ საიჯარო ხელშეკრულებების პერიოდების შეფასებაზე, რომლებიც მიიჩნევა არაგაუქმებად პერიოდად, მათ შორის იმის შეფასებაზე, თუ დასაბუთებულად რამდენ ხანს გააგრძელებს კომპანია საიჯარო ურთიერთობებს, კომპანიის შეხედულებისამებრ. მენეჯმენტი თვლის, რომ მისი ყველა საიჯარო ხელშეკრულების პირობების ამჟამინდელი შეფასებები არის საუკეთესო, რაც შეიძლება გაკეთდეს ამ ვითარებაში და დაფუძნებულია მენეჯმენტის მიზნებსა და რეალურ გეგმებზე.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,886	54
ფული საბანკო ანგარიშებზე	4,040	461
სულ ფინანსური აქტივები	5,926	515

ფინანსური ვალდებულებები

ათას ქართულ ლარში

	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
ამორტიზირებული ღირებულება		
საიჯარო ვალდებულება	7,513	28,921
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,212	7,515
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,725	36,436

21 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში, ევროსა და ბრიტანულ ფუნტში. კომპანიას ასევე აქვს საიჯარო ვალდებულებები აშშ დოლარში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული

2021 წლის 31 მარტი

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	693	35
ფული საბანკო ანგარიშებზე	-	302
	693	337
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	734
საიჯარო ვალდებულება	7,513	-
	7,513	734
წმინდა პოზიცია	(6,820)	(397)

ერთეული

2020 წლის 31 მარტი

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23	40
ფული საბანკო ანგარიშებზე	-	1
	23	41
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	411	4,269
საიჯარო ვალდებულება	28,921	-
	29,332	4,269
წმინდა პოზიცია	(29,309)	(4,228)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% (2020: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2020: 15%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2020: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარის, ევროს და ფუნტის მიმართებაში 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათას ქართულ ლარში

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2021	2020	2021	2020
მოგება/ზარალი	1,023	4,396	60	634

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკის პოზიციას.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, როგორებიცაა ფული საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიერ, თავისი საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთების საკრედიტო რისკის მართვა, ხდება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციით და მხოლოდ კარგ, რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად მიიღება საცალო ვაჭრობიდან (96% -ზე მეტი) გაყიდვების დროს გარიგების ფულადი ანგარიშსწორებით. შემოსავლების დანარჩენი მცირე ნაწილი მთლიანად მიღებული აქვს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან ვაჭრობიდან (ტანსაცმლის საცალო ვაჭრობით Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co. ჯგუფთან). კომპანია არ იყენებს საკრედიტო შეფასებისა და მონიტორინგის პოლიტიკას საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტების მიმართ, რადგან ეს გარიგებები ხორციელდება Fawaz Abdulaziz Al Hokair Group- ის გლობალური ბიზნესის სავაჭრო მოდელის ფარგლებში და ამგვარი სავაჭრო გარიგებებიდან მოთხოვნები ძირითადად სრულად მიიღება.

კომპანიას არ გააჩნია უსაფრთხოების სისტემები სავაჭრო მოთხოვნების ბალანსისთვის. ამის გარდა, კომპანიას არ აქვს უზრუნველყოფები სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგალითად ფულზე და საბანკო ანგარიშებზე).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში, დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 48 თვის მანძილზე.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (შეწყვეტილია აღიარება), როცა აღარ არის მათი დაფარვის გონივრული მოლოდინი. ინვოისის გამოწერის თარიღიდან 180 დღის ვადაში გადაუხდელობა და ამასთან კომპანიასთან ჩაურთველობა ალტერნატიული გადახდის განსაზღვრისთვის, მიაწინებს, რომ მოთხოვნის დაფარვის მოლოდინი არაგონივრულია.

ზემოთ აღწერილი კომპანიის ოპერაციების მახასიათებლების (საცალო ვაჭრობა ფულადი ანგარიშსწორებით და დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციებით, რომლებიც ხორციელდება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს შორის) მიუხედავად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გ) ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2021 წლის 31 მარტი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		5.24%	
1 თვიდან 1 წლამდე	11,212	3,651	14,863
1-დან 5 წლამდე	-	3,862	3,862
	11,212	7,513	18,725

2020 წლის 31 მარტი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		5.7%	
1 თვიდან 1 წლამდე	7,515	3,832	11,347
1-დან 5 წლამდე	-	15,327	15,327
5 წელზე მეტი	-	31,190	31,190
	7,515	50,349	57,864

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფული საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს.

22 რეალური ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების;
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

22.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება, რომელთათვისაც რეალური ღირებულება უცნობია.

მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამორტიზირებული ღირებულება უახლოვდება მათ დაბალანსო ღირებულებას.

რეალური ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია დისკონტირების განაკვეთი. ზემოთ ხსენებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება კლასიფიცირდება რეალური ღირებულების იერარქიის მე-2 დონეზე.

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები აღეკვეთებად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2019 წლის 1 აპრილი		
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
გადახდები	(3,327)	(3,327)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
საიჯარო ვალდებულებების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	30,462	30,462
დარიცხული პროცენტი	1,806	1,806
საკურსო სხვაობის გავლენა	(20)	(20)
2020 წლის 31 მარტი	28,921	28,921
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
გადახდები	(1,262)	(1,262)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
დარიცხული პროცენტი	1,927	1,927
საკურსო სხვაობის გავლენა	7,816	7,816
COVID-19-თან დაკავშირებული იჯარის ფასდათმობა	(1,921)	(1,921)
ცვლილებები ხელახალ შეფასებებში	(27,968)	(27,968)
2021 წლის 31 მარტი	7,513	7,513

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი აქციონერები, შვილობილები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა სხვა ქვემოთ აღწერილნი.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია საქართველოში არსებული კომპანია - შპს "Retai Group Georgia". შპს "Retai Group Georgia"-ს მფლობელები არიან: "Advanced Retail International Co United Kingdom of Saudi Arabia", რომელიც ფლობს წილის 80%-ს, 20%-ის მფლობელს კი წარმოადგენს "International Fashion Trading Limited, United Kingdom of Saudi Arabia". საბოლოო შუალედურ მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს "Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co., United Kingdom of Arabia".

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან:

უმაღლესი მარკონტრელები მხარე	%
Fawaz Abdulaziz	31
Salman Abdulaziz	31
Abdul Majeed	31
სხვა	7

25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათას ქართულ ლარში

ტრანზაქციები	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
<i>მშობელი კომპანია</i>		
მენეჯერული მომსახურების ხარჯი	1,634	2,114

კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ

საქონლის მიწოდება	379	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	360	-

ათას ქართულ ლარში

ნაშთი	2021 წლის 31 მარტი	2020 წლის 31 მარტი
<i>კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	728	54

26 შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ 2020 წლის პერიოდთან მიმართებაში განახორციელა რეკლასიფიკაციის კორექტირებები მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებების მუხლებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებულ რეკლასიფიკაციებს:

ერთეული

ათას ქართულ ლარში

	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ცვეთა	4,492	(4,492)	-
იჯარის ხარჯი	1,032	(1,032)	-
კომუნალური ხარჯი	617	(617)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	4,438	-	4,438
	10,579	(6,141)	4,438

ერთეული

ათას ქართულ ლარში

	დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
როიალტი	-	2,974	2,974
ცვეთა	-	4,492	4,492
იჯარის ხარჯი	-	1,032	1,032
კომუნალური ხარჯი	-	617	617
დისტრიბუციის სხვა ხარჯები	3,474	-	3,474
	3,474	9,115	12,589

ერთეული

ათას ქართულ ლარში

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
როიალტი	2,974	(2,974)	-
თვითღირებულების სხვა ხარჯები	38,784	-	38,784
	41,758	(2,974)	38,784

ერთეული

ათას ქართულ ლარში

კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი

	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ვალდებულებების საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(592)	592	-
სხვა	(93)	-	(93)
	(685)	592	(93)

ერთეული

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ხარჯი

	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ვალდებულებების საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	-	(592)	(592)
სხვა	(1,806)	-	(1,806)
	(1,806)	(592)	(2,398)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებულ რეკლასიფიკაციებს:

ერთეული

ათას ქართულ ლარში

	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
მიმდინარე მოგების გადასახადი	634	(634)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,953	634	6,587


ALHOKAIR
Retail Group Georgia



ალჰოკაირ
რითეილ გრუპ ჯორჯია

მმართველობითი ანგარიში

2020-21
ფინანსური წელი





ალკოჰაირის გეოგრაფია

Our Team

11,000+

Associates

Our Network


1,700+

Stores

Across

12


Countries



* Our US operations are not represented in the above map. FY21 sales from US were SAR 5mn from 14 outlets.



ალკოკაირის ბრენდ-პორტფელი



* These brands are present in international markets only

შპს „Retail Group Georgia“ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და მრავალფეროვანი პორტფოლიოს მქონე Alhokair Fashion Retail-ის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიაა, რომლის სათავე ოფისი საუდის არაბეთში მდებარეობს. Alhokair-ი 90-მდე ბრენდს აერთიანებს, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ამერიკაში 2 000-ზე მეტ მაღაზიას უძღვება. ჯგუფის ოფიციალური ვებ საიტია <https://www.fahretail.com/>

Alhokair-ი საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს სავაჭრო ნიშანზე უფლებას ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ისეთ ბრენდებზე, როგორიცაა Zara, Massimo Dutti, Marks&Spenser, Mango, Us Polo, Charles & Keith, Monsoon, Flormar, Aldo, Ipekyol და სხვ. სავაჭრო ობიექტების მართვა ხორციელდება ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ყველა მოთხოვნის დაცვით.

შპს Retail Group Georgia-ს დამფუძნებლებს წარმოადგენენ შემდეგი იურიდიული პირები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Advanced Retail International Co., საუდის არაბეთის სამეფო, , 101028295 -80% წილის მესაკუთრე და International Fashion Trading Limited A010/04/11/3277, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 20% წილის მესაკუთრე. მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისგან, ხოლო წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

დანარჩენი 9 კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია შპს „Retail Group Georgia“ – 100% წილის მესაკუთრე. ეს კომპანიებია:

კომპანიის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი
Retail Group Holding	404404783
Fashion Retail Georgia	404404809
Spanish Retail Georgia	404404774
Global Apparel Georgia	404404792
Mega Store Georgia	404404756
Master Retail Georgia	404404765
Pro Retail Georgia	404404747
Best Retail Georgia	404404738
Master Home Retail	405194784

Spanish Retail Georgia-ს სავაჭრო ობიექტები:

ბრენდის დასახელება	სავაჭრო მოლი	გახსნის დღე	ფართი (კვ.მ)	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა
Zara	East point	9/11/2015	2238	39
Zara	Merani Mall	5/10/2013	1999	46
Zara	Tbilisi Mall	4/7/2012	1974	50
Zara	City Mall	17/10/2019	2834	56
Zara	Zara E-commerce	25/10/2020		5
		სულ	9045	196

წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. დამფუძნებლები/პარტნიორები ფლობენ კომპანიის წესდებითა და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

შპს „Spanish Retail Georgia“-ში დასაქმებულია 196 ადამანი.

ბოლო წლების განმავლობაში პერმანენტულად მიმდინარეობს მარკეტინგული ღონისძიებები პრომო აქტივობების მხარდასაჭერად, ახალი სეზონის, ფასდაკლების ანონსირების, ახალი ბრენდებისა და მაღაზიების ბაზარზე შემოყვანის მხარდაჭერის, ბრენდების ბაზარზე პოზიციონირებისთვის. მარკეტინგული აქტივობები მიმდინარეობს როგორც მაღაზიებში, ასევე მოლებში, ონლაინ არხებით, სოციალური მედიის საშუალებით (ფეისბუქი, ინსტაგრამი), საერთაშორისო ბრენდების სეზონური გაიდლაინების შესაბამისად და ლოკალური ბაზრის სპეციფიკაციის გათვალისწინებით. მაქსიმალური ღონისძიებები გატარდა კოვიდ-რეგულაციების დაცვისა და უსაფრთხო შესყიდვების მხარდაჭერის მიზნით.

ასევე, კომპანია პარტნიორულ პროექტებს ახორციელებს სხვა ბიზნეს სუბიექტებთან - საქართველოს ბანკთან, თიბისი ბანკთან, მასტერქარდთან, თბილისი მოლთან, ისთ ფოინთთან, მერანი მოლთან, სითი მოლთან ერთობლივი პროდუქტებისა და აქციების მხარდაჭერით, მედიასთან – პრინტ, ონლაინ და ტელე გადაცემებში ბრენდების და კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა დისტანციური არხებით გაყიდვები. შესაბამისად, 2020 წლის ოქტომბრიდან ერთ-ერთ უდიდეს მონობრენდულ ონლაინ მაღაზიას www.zara.com-ს დაემატა საქართველო, რის შედეგადაც ქართველ მომხმარებლებს უკვე აქვთ წვდომა Zara-ს სრულ კატალოგზე და საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან შეუძლიათ შეიძინონ და სასურველ მისამართზე მიიღონ გამოწერილი ნივთი.

ონლაინ გაყიდვების მიმართულებით კომპანიის ბრენდების დიდი ნაწილი წარმოდგენილია პარტნიორ პლატფორმაზე www.shopshop.ge.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ბოლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი პარტნიორული პროექტი სხვადასხვა მიმართულებით: ორგანიზაცია “Caritas Georgia“-სთან თანამშრომლობით ჯგუფმა განათავსა საქველმოქმედო ყუთები რამდენიმე მაღაზიაში, სადაც სოციალურად დაუცველებისთვის ხდება ტანსაცმლისად და სხვა ნივთების შგროვება.

ჯგუფს საქართველოში დასაქმებული გვყავს 700-დე ადამიანი. Spanish Retail Georgia-ს შრომითი ხელშეკრულება სრულიად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან, ეთიკის ნორმებთან და შრომით კანონმდებლობასთან. დასაქმებულებს მკაფიოდ განსაზღვრული აქვთ შინაგანაწესი და ღირებულებები.

პანდემიის დაწყება ურთულესი გამოწვევა იყო შრომითი რესურსების შენარჩუნების კუთხით, თუმცა Spanish Retail Georgia მიეკუთვნება ისეთი კომპანიების რიგს, რომელიც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გამოირჩევა და უფრთხილდება ერთ ერთ ყველაზე ძვირფას აქტივს, როგორც არის ადამიანური რესურსი. პანდემიის პერიოდში არა თუ სრულად შენარჩუნდა ყველა საშტატო ერთეული, არამედ გაიზარდა სავაჭრო ობიექტების დამატების ხარჯზე. დაინერგა ახალი სისტემა, ადაპტირდა შრომითი ხელშეკრულებები ყველა იმ ცვლილების შესაბამისად რა ცვლილებაც შევიდა საქართველოს შრომით კანონმდებლობაში. მომსახურების ხელშეკრულებით დანიშნული, შრომასთან გათანაბრებული პოზიციებისათვის შეიცვალა ხელშეკრულების ტიპი და 225 თანამშრომელთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. მოხდა ყველა თანამშრომლის დაზღვევა და გაუმჯობესდა სადაზღვეო პაკეტი. დაინერგა ახალი განვითარების პროგრამა რომელიც გულისხმობს თითოეული თანამშრომლისთვის, კომპანიისთვის მნიშვნელოვანი 8 ძირითადი კომპეტენციის განვითარებას და სწავლებას. კომპანიის თანამშრომელთა დარჩენილი 45% გადავიდა კვირის ჭრილში 2 დღიან დასვენებაზე.

ამასთან, მუდმივად ვიღებთ რეკომენდაციებს როგორც შიდა წყაროებიდან, ისე საკონსულტაციო კომპანიისგან, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ნებისმიერი საკადრო რისკი დაყვანილი იყოს მინიმუმამდე. კომპანია ყოველ წელს ატარებს კმაყოფილებისა და ჩართულობის სრულფასოვან გამოკითხვას, რათა გაიგოს დასაქმებულთა კმაყოფილების დონე და დაადგინოს ის ასპექტები და საჭიროებები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. ასევე, პერიოდულად ვატარებთ სახელფასო კვლევებს, რათა გავარკვიოთ თუ რამდენად კონკურენტული დასაქმების პირობები გვაქვს.

ჩვენი მთავარი კონცეფცია ასეთია: ავიღოთ საუკეთესო საერთაშორისო მოდის ბრენდები, მათი პრინციპები და ეს ყველაფერი გავაზავოთ ადგილობრივ ბაზარზე დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან, რასაც ამავე ბაზარზე გამოცდილებამიღებული კადრები ფლობენ. ამიტომაცაა, რომ ყველაზე წარმატებული მსოფლიო ბრენდები სწორედ ჩვენ გვირჩევენ პარტნიორად.

კომპანია ათი წლის თავზე საკუთარ თავს ასე ხედავს: განვითარების პროცესი, ცხადია, გრძელდება და ეს მუდამ გააზრებული გვაქვს. ბაზრის კვლევას - მოდის ტენდენციების ცვლილებას, მომხმარებლების ჩვევების შესწავლას კომპანია დღემდე დიდ დროს უთმობს. სწორედ კლიენტებთან დამყარებული უკუკავშირის საფუძველზე ვახერხებთ გავითვალისწინოთ მომხმარებლის ინტერესები, დავამკვიდროთ ვაჭრობის სფეროში მომსახურების ნოვატორული სტანდარტი და მსოფლიო ტენდენციების ფეხდაფეხ შევთავაზოთ ქართველ მომხმარებლებს მუდმივად განახლებული კოლექციები, სპეციალური აქციები, ფასდაკლებები, სასაჩუქრე ბარათები და ნოვატორული პროდუქტები ჩვენს პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად.

The Saudi Stock Exchange Tadawul - <https://www.tadawul.com.sa>-ზე გამოქვეყნებულია Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და შენიშვნები (იხ. ცხრილი ქვემოთ).

მილიონი საუდის
არაბეთის რიალი, SAR

დასახელება	ფინანსური წელი 2020-21	ფინანსური წელი 2019-20	ცვლილება %
შემოსავლები	4,233.5	5,341.8	-20.747
წლის საერთო მოგება/ზარალი	-88.5	407.8	-

გამოქვეყნებული ანგარიშგების მიხედვით მიმდინარე ფინანსურ წელს (2020-21) Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის შემოსავლები შემცირებულია 21%-ით წინა ფინანსურ წელთან (2019-20) შედარებით. ასევე, წინა წელთან შედარებით, 63%-ით შემცირებულია მიმდინარე წლის მოგება. ცვლილებების მიზეზი შემდეგია:

1. შემოსავლების შემცირება 21%-ით წინა ფინანსურ წელთან შედარებით განპირობებულია Covid-19 პანდემიის საპასუხოდ განხორციელებული ჩაკეტვისა და გადაადგილების შეზღუდვების ნეგატიური ეფექტებით, რომელსაც ქონდა ადგილი საუდის არაბეთში და ყველა საერთაშორისო ბაზარზე, სადაც კომპანია ოპერირებს. შემოსავლების შემცირება ასევე განპირობებულია წამგებიანი მაღაზიების დახურვითა და დაბალშემოსავლიანი ბრენდების ბაზრიდან გაყვანით.

2. საერთო მოგების შემცირება განპირობებულია მოძველებული და მოდიდან გამოსული მარაგების გაუფასურებით - 460,9 M SAR. 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია, რომელიც მოიცავდა მაღაზიების დაახლოებით 95%-ს.

როგორც აღვნიშნეთ, შპს Spanish Retail Georgia არის Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის წარმომადგენელი კომპანია საქართველოში. თუ შეხედავთ ორივე წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი ქვემოთ), 2020-21 ფინანსური წელი საკმაოდ რთული იყო Retail Group Georgia-თვის. მიუხედავად ამისა ჩვენ შევძელით გაგმკლავებოდით Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და შეგვენარჩუნებინა სამუშაო ადგილები და სავაჭრო ქსელი.

შემოსავლები	Spanish Retail Georgia	
ლარი	2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით	2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით
ადგილობრივი გაყიდვები	41,119.00	59,425.00
ექსპორტი	379.00	0.00
	41,498.00	59,425.00

როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი ფინანსური წლის მთავარ გამოწვევად რჩება სავალუტო რისკები. სავალუტო რისკი ჩვენი ჯგუფისთვის წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის (აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი) კურსის ცვლილებით ლართან მიმართებაში, რაც წარმოიქმნება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას. კომპანიას ჩამოაყალიბებული აქვს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის გაზომვის, კონტროლირებისა და მისი გავლენის მინიმუმამდე დაყვანას. მაგალითად, ექსპორტის შემთხვევაში (სომხეთი,

აზერბაიჯანი) თუ გვაქვს მოლოდინი, რომ მისაღები ვალუტა გაუფასურდება რამოდენიმე კვირაში, ვითხოვთ გადასახდელი თანხის დაუყოვნებლივ მიღებას.

იმპორტის შემთხვევაში, თუ გვაქვს მოლოდინი, რომ ადგილობრივი ვალუტა გაუფასურდება, ბრენდ პარტნიორებთან მოლაპარაკებების გზით ვცდილობთ გადასახდელი თანხის გადავადებას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შეთანხმებით (დაკავშირებულ მხარეებთან) ან საკრედიტო ვადების გაზრდით.

რაც შეეხება სხვა რისკებს, ჩვენს მთავარ გამოწვევად რჩება ის სავაჭრო ობიექტები და აუთლეტები, რომლებიც ვაჭრობენ ისეთი ბრენდებით, რომლებზეც ფრანშიზული შეთანხმება საქართველოს ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ Spanish Retail Georgia-ს. რა თქმა უნდა, ასეთ კომპანიებს გარდა იმისა, რომ ეწევიან არაკანონიერი გზით სხვადასხვა ბრენდების რეალიზაციას, არ აქვთ ის უპირატესობები, რომელსაც ჩვენ, როგორც ფრანჩაიზი ვიღებთ ბრენდ პარტნიორისგან: ექსკლუზიურობა, უნიფიცირებული პოლიტიკა და პროცედურები, ცენტრალიზირებული შესყიდვები ფასდაკლებით, მუდმივი კონსულტირება პროდუქციასთან დაკავშირებით, თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, მარკეტინგული მხარდაჭერა.

Spanish Retail Georgia-ზე, ისევე როგორც მთლიანად რითეილის სექტორზე, Covid 19-ის უარყოფითი გავლენა ცალსახაა. ჯგუფის შემოსავლებმა 30%-ით იკლო გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში ჯგუფს სრულიად შეუზღუდა საქმიანობა 4 თვის მანძილზე, ხოლო დანარჩენი პერიოდი უწევდა არაერთი შეზღუდვის ქვეშ ოპერირებას. ასეთია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა, რომლის დროს ჯგუფი უზრუნველყოფდა თანამშრომლების ტრანსპორტირებას საკუთარი ხარჯით, სამუშაო საათებზე დაწესებული შეზღუდვა და შაბათ-კვირას საქმიანობის აკრძალვა. ჯგუფი ინტენსიურად თანამშრომლობდა მთავრობასთან მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო პროტოკოლების შექმნაზე. შედეგად სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებმა არაერთხელ აღიარეს ორგანიზებული რითეილის წარმატება კოვიდ რეგულაციების ზედმიწევნით შესრულებაში.

ჯგუფის მენეჯმენტი პანდემიის დაწყებისთანავე შეუდგა საიჯარო, საბანკო და მომწოდებლებთან გადახდის პირობების გადახედვას. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. შედეგად სხვადასხვა კოვიდ შეზღუდვების პირობებში საიჯარო ვალდებულებები ჯგუფს აღარ დააწვა მძიმე წნეხად. სამუშაო კაპიტალის შესანარჩუნებლად გარდა საოპერაციო ხარჯების შემცირებისა, ჯგუფმა მიმართა დედა კომპანიას კაპიტალში კონტრიბუციის სახით გამოეყო 4.8 მილიონი ლარი კრედიტორული დავალიანების დასაფარად. ამან საშუალება მოგვცა ფინანსური წელი ჯანსაღი ლიკვიდურობის ფონზე დაგვესრულებინა.

ჯგუფმა შეზღუდვების პერიოდი აქტიურად გამოიყენა ონლაინ პლატფორმების შექმნისათვის. შეზღუდვების დაწესებიდან რამდენიმე კვირაში ჯგუფის ბრენდები წარმოდგენილი იყო ყველა ადგილობრივ ონლაინ პლატფორმაზე და აქტიურად მიდიოდა მუშაობა საკუთარ ონლაინ მაღაზიაზე. შედეგად ოქტომბერში გაეშვა www.zara.com. ჯგუფის მიზანია ონლაინ გაყიდვებმა საერთო შემოსავლის 7% შეადგინოს მომდევნო ფინანსურ წელს და ეს ნიშნული გააორმაგოს საშუალოვადიან პერსპექტივაში.

კომპანია გეგმავს საოპერაციო საქმიანობის ახალ გამოწვევებზე მორგებას და ონლაინ ვაჭრობაზე ადაპტირებული საოპერაციო საწყობის და გადაფუთვის სადგურების გამართვას.

მიმდინარე ფინანსური წლის ბოლოს, ჯგუფი გადავიდა ახალ სამუშაო სივრცეში. სითი მოლის თაურში განლაგებული ოფისი უზრუნველყოფს მენეჯმენტის მეტ სიახლოვეს სავაჭრო ქსელთან და უწყვეტ კომუნიკაციას მაღაზიის პერსონალთან.

პანდემიის კვალდაკვალ შეზღუდვების შემცირება და შემოსავლების ზრდა ბოლო თვეების განმავლობაში იძლევა პოზიტიური მოლოდინის საფუძველს.

მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები:

დირექტორი

რევაზ მაღალაშვილი

ფინანსური მენეჯერი

ფიქრია გვიშიაწი

h. მიქი

ვ. მ.